ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132–6015

# ნიანგი

15

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1553)· აგვისტო 1979, ფასი 20 კაპიკი·




— გავცვალოთ?

**გაუფრთხილდით** კულტურის ძეგლებს, დავიცვათ ისინი! — ეს ყოველი ჩვენგანის პატრიოტული მოვალეობაა!.. ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც ბილწავენ ამ რელიკვიებს, რომლებითაც ასე მდიდარნი ვართ.

**გაზეთებიდან**



— ამ სასმისით მას გაუმარჯოს, ვინც წინაპართა გასახსენებლად ამ მივიწყებულ ისტორიულ ძეგლზე ეს მშვენიერი რესტორანი დააშენა!

ნახ. ჭ. დეისაძისა

# სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...

**იყო** დრო, როცა საქართველოში გამოჩნდნენ ისეთი „პატრიოტები", რომლებიც მაღალი სკამიდან თუ ტრიბუნიდან მთიანი სოფლების მკვიდრთ მოუწოდებდნენ, ჩამოსულიყვნენ ბარად და შესჩვეოდნენ მათთვის უცხო გარემოს... სწორედ ამგვარმა მიგრაციამ ქნა საქმე უკუღმართი მთის სოფლებისათვის. მთებში მობოინე არწივებს ფრთები შეეკვეცათ და, როგორც ყაზბეგელი პოეტი შალვა არაბული უბნობს: „ჯიხვისა და ხარ-ძროხა-ცხორის მადევარს ბარში ხახვის დარგვისგან თვალები ამოუცრემლდა". ხახვის და სხვა ბოსტნეულის მოყვანა ურიგო საქმე არ არის, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რა გორისაცაა, კაი ყმა გარჯამამულიშვილობით უნდა გამოადგეს ქვეყანას!

კაი ყმა დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში, ჰაი-ჰაი, რომ მრავლად მოიძებნება. ისინი მყინვარის, დარიალის და არაგვის ხეობათა განუყოფელნი არიან, მათ გადალახეს ჭაბუკობის წლები და ჭიუხიან საქმეებს ჰკვალავენ. ახალგაზრდობა?! ზოგ-ზოგმა მიაშურა ცხვარ-ძროხას, უმეტესობამ კი თვალი ბარისკენ დაიჭირა. არცაა გასამტყუნარი ის ახალგაზრდა, სკოლის დამთავრების მერე თავის მომავალს როგორც სურს, ისე რომ გაიგზიანებს, ყველა ცხვარ-ძროხას ვერ მიეკერძება, ყველა ჭაბუკის სულში სხვადასხვა ნიჭი ბუდობს და მას ფრთების გაშლა-ნავარდი უნდა.

— სანამ ცოცხალ ვარ, ჩემი სული სამების ძეგლივით დარჩება ამ მთის სიყვარულში, მაგრამ ჩემი გონი ვერ იმორჩილებს ჩემს შთამომავალს, ჩემს ჯილაგს, თვალი ქალაქჩი რომ გაურბის, ამ ტკივილს კი ვუმწუხრე, მაგრამ მწუხრითა სიხარული არ დაბრუნდების! — თქვა ჯუთელმა არაბულმა, — რა დაგიმალოთ, — გააგრძელა გულის სათქმელი, — დედაქალაქში მრავალი გზა მოვლიე და მეც — სამოცდაათ წელს გადაბიჯებულს, გულზე მომეჭიდა ბარის ტაშფანდურა, მთის წეს-გარემოში ამოდღვებილს, მომინდა თბილისს დარჩენა, რაა ამაში ცუდი? შეხვალ თეატრში, წაიკითხავ იმ დღის გაზეთს, უყურებ ტელევიზორს და უმალ შეიტყობ მთელი დედამიწის ამბებს, ჩვენს სოფელში (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) ელექტრონი და რადიო ხანდახან სანატრელია. ჩვენ გუდამაყრელები არა ვართ, რომ მათსავით, ფეხბურთს ფასანაურელთა ტელევიზორებში ვუცქიროთ. ყაზბეგელებს მითომდა აცქერინებენ ჯადოსნურ სარკეს, თერგივით რომ აქაფდება ხოლმე... ერთი კი მაოცებს, თუკი მაღლა ცაში კოსმონავტები უცქერენ გადაცემებს, ჩვენ აქ რა ღმერთი გაგვიწყრა?! სულ იმას გავიძახით, ცხოვრებას არ ჩამოვრჩეთო და რა გამოდის: ზამთრის ამბებს ზაფხულში ვიგებთ, ქორწილის ამბავს წლისთავზე თუ შეიტყობ! ეს სულ ჩვენი ფოსტის ბრალია. თქვენ მეკითხებით: გოგო-ბიჭები რატომ მიდიან ქალაქჩიო? სწავლა უნდათ, სწავლა! რომ ისწავლიან, ზღვაში ჩავარდნილი წვიმის წვეთებივით იკარგებიან. ამიტომ კარგი იქნება, რომ ყაზბეგის რაიონში რომელიმე ინსტიტუტის ფილიალი მაინც დაარსდეს, იმის კვალობაზე კი საწარმოებიც გაიხსნება და მთის შვილი მთას მოეჭიდება!

— ჩვენთან, მთაში, უმაღლესის დამთავრება მოდად ვაქციეთ. როგორ, ცხოვრებაში გასვლის სხვა ბილიკები და გზები არა გვაქვს? განა დასანანი არ არის, რომ ჩვენს მხარეში ხალიჩების თითო-ოროლა დამქსოვილა შემოგვრჩა და ისინიც გულდაწყვეტილნი არიან: ჩვენს ხვაშიადს ჩვენიანებს ვერ ვუხსნითო! იქნება კარგიც გამოდგეს, რომ გუდამაყარში ხალიჩების საქსოვი აშენდეს, სადაც ბევრი ჩემნაირი ახალგაზრდა ქალი მიეძალება და გაქცეული გუდამაყრელები ქალაქიდან სოფლისკენ იბრუნებენ პირს, — თავისი მოსაზრება გამოთქვა სოფელ მაქართის მკვიდრმა გ. ბექაურმა.

— თანამედროვე მთის ყოფის შენარჩუნებას საინტერესო წიგნების უქმარისობაც უშლის. ჩვენამდე ვერ აღწევს ისეთი წიგნები, გულს რო გაუხალისებს სოფლის მკვიდრს. მე მახსოვს, გადაიღეს ასეთი ფილმი — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", აბა, ახლა თუ გინდათ, რო მთიანი სოფლები არ დაცარიელდეს, შექმენით ფილმები, ცოტაა საამბობი?!.. აი, ერთს მეც გიამბობთ: ერთი ჩვენებური, გუდამაყრელი ბიჭი, საინტერესო წიგნების კითხვამ გაიტაცა, როცა „საზრდო" შემოაკლდა თბილისში დაიწყო წანწალი, იქაურ ბიბლიოთეკებს მოედო... იმდენი იკითხაიარა, რომ მთას უზურგა. ამას წინათ ქალაქში გაქცეულს გადავეყარე და დოსტოღრივ ვუთხარი: არც ქალაქს არგიხარ და არც — სოფელს, ამოდი მაქართაში, მასწავლებლები გვაკლიამეთქი! მან კი მიპასუხა: გულ-მუცელში ბევრი სატკივარი მჭირს, ყოველ წუთს ექიმი მჭირია, ექიმი კი გუდამაყარში ეგრე რიგად არ მოიძებნება! — თავისი სათქმელი გულში ვერ დაიტია პედაგოგმა ზინა ხერკილაძემ.

— ყველანაირი აქიმობა უნდა მთას, თორემ ისეთი რამ დაემართება, რაც — ლეთხუბელ ნიკოსა! — თქვა ვალიკო წიკლაურმა და კაფიაც იმოწმა:

— ძროხა რა უყავ, ნიკუა, ძროხა
რომ გყავდა ალანი?
— გადმამივარდა ძმობილო, მამერგო
დიდი ზარალი!
— ექიმთან რატომ არ წახველ, არ
მაუტანე წამალი?
— ექიმთან ბევრი ვიარე, გავცვითე
გზა და ჭალანი...
გადმოვარდნილი ძროხისა აღარ
ყოფილა წამალი,
გვერდს უნდა ედგეს პატრონი,
ქონდეს გალესილ დანაი!

ექიმების გასაჭირი მარტო გუდამაყრელებს არ ჰქონიათ, ყაზბეგის რაიონსაც ჰკლებია კვალიფიცირებული ექიმები. ნაცვლად 38 ექიმისა, 21 ექიმი ჰყოლიათ და რაა გასაკვირი, რომ ასეთი მცირერიცხვიანი მედპერსონალი ამხელა მთას ვერ უთავდება. იმასაც არ მალავენ, რომ დაბა ყაზბეგის სამოცსაწოლიანი, სოფელ კობისა და სნოს ათსაწოლიანი საავადმყოფოების დატვირთვა ძალზე ნაკლებია. აბა, რა იქნება, ნიადაგ ქალაქისაკენ სამკურნალოდ მიიჩქარიან, იმის გამოისობით, რომ სამედიცინო მომსახურების ელემენტარული პირობები არა აქვთ. „ჰაი, ჰაი, რომ ასეა!"—უბნობენ ჯუთელები, ოქროყანელები და მთის სხვა სოფლელები.

სპორტი და ჭეშმარიტი ხელოვნება ხომ მთიელთათვის ფუფუნებაა! მათ იშვიათად აკითხავენ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები. თუ ავლენ, ხევსურული ტანსაცმლის ჩამოსატანად, ატანით კი თითქმის არაფერი აქვთ!

მთიელთა მატერიალურ-სულიერი სამანების შენარჩუნება მარტო კოლორიტული სახინკლეების შენებაში არ უნდა გამოიხატებოდეს! სხვაფრივ, ჩემო თანამედროვევ!

**ავთანდილ ადეიშვილი**

## სალადოგო—თბილისის დინამოელებს

მეორეჯერ მოეხვიეთ
საოცნებო ბროლის თასსა!
მოგილოცავთ! გაუმარჯოს
ჟინსა თქვენი ბრძოლისასა!

თქვენს თამაშში რაც ცეცხლია,
რაც სწრაფვა და აზარტია, —
წელს ექციოთ ოქროებად
ახალკაცს და ასათიანს!

დაღლილებო ძნელ მატჩებით
და დარტყმული პენალტებით, —
ჩემპიონთა დიდი თასის
მფლობელებად მენატრებით!

საქართველო აზავთეთ
სიხარულით სავსე თასით!
კიდევ ერთხელ მოგილოცავთ! —
ეს ორი და სხვა ათასი!

### სამეკარეო მისამღერი

ხუთგზის გმირო ფინალისა,
ფურორ-ოთარ გაბელიავ,
ბროლის თასის ნახევარი
ნათელი შენ გაფენია!

ზეალმტაცი ნახტომებით
ბევრჯერ დაგვარეტიანე! —
მისწვდი ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ. რვა,
ცხრა,
ათ და თერთმეტმეტრიანებს!

შენც მენახო ოქროს მედლით
გ ო ლმკერდგამობრწყინებული
და მეკარედ გნატრულობდეს
წაგებული „ლ ი ვ ე რ პ უ ლ ი“!

ზაურ ბოლქვაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— საგავშვო ბაღის მისაღებ გამოცდაზე ჩამიჭრეს და მოსამზადებელ კურსებზე მიმყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიანგმა წერილი მიიღო

„ამას წ ი ნ ა თ მოსწავლეებმა შეხვედრა მოვუწყეთ წისქვილკომბინატის მუშებს. ამ შეხვედრაზე ბევრი მუშა გამოვიდა სიტყვით, მოსწავლეებმაც ვუსურვეთ წარმატებები შრომაში. მე ხომ ვიცი, როგორი წარმატებებით... იპარავენ!..“ — გვწერდა ქ უ თ ა ი ს ე ლ ი ცქიტიშვილი.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ქუთაისის წისქვილკომბინატის კოლექტივს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული როგორც საწარმოს ტექნიკური აღჭურვის, ასევე ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს წვრილმან დატაცებებს 4-5 კილოგრამის რაოდენობით.

1979 წლის პირველ ხუთ თვეში აღრიცხულია 13 ასეთი შემთხვევა.

ნუთუ, მართლა ცამეტი?!.. იქნებ იყო სხვა მეტიც?!

**ლანჩხუთელ** ხასან დიასამიძეს მაცივარი „კოდრი“ ყიდვიდან მეოთხე თვეზე გაუფუჭდა. **მახარაძის საყოფაცხოვრებო მანქანების სარემონტო ქარხნის** ხელოსნებმა, მაცივარს ვინ ჩიოდა, ხასიათიც გაუფუჭეს ინვალიდ კაცს. მერე დირექცია ჩაერია საქმეში და, როგორც იქნა, ხელოსანმა ხელი დასდო მაცივარს, მაგრამ დადებული ხელი ისევ მოაშორა და უიმედოდ ჩაიქნია, აგრეგატი აქვს შესაცვლელიო. სარემონტო ქარხნის დირექციამ 1979 წლის 6 მარტს წერილობით სთხოვა კიშინიოვის მაცივრების ქარხანას, რათა გამოეგზავნა აგრეგატი საგარანტიო რემონტისათვის, მაგრამ კიშინიოველებმა უარი შემოუთვალეს, თითქოს არ სცოდნოდეთ, რომ არქონა ვალს არ წყვეტს.

მახარაძელებმა ცნობა მისცეს ხ. დიასამიძეს, საგარანტიო რემონტი ჩვენს ძალებს აღემატებაო და ამ ცნობით გულმოცემულმა მომჩივანმა იქირავა მანქანა, დადო ზედ თავისი „კოდრი“ და გოდრით მიაყენა „ფოთვაჭრობის“ № 6 მაღაზიას.

ფოთელებმა უშფოთველად გადაავლეს თვალი ამ ცნობას (მაცივრისთვის ზედაც არ შეუხედავთ!) და უთხრეს, ამ ცნობას ვერ ვცნობთო. ერთი სიტყვით, დიასამიძე თავისი მაცივრით ერთობ გულციულად გამოაცილეს.

„ნიანგს“ მიაჩნია, რომ „ფოთვაჭრობის“ № 6 მაღაზიის კედლებზე საჭიროა გაიკრას სტამბური წესით დაბეჭდილი ზემდგომი ორგანოების დადგენილება მაღაზიის მუშაკთა საკონსულტაციოდ, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ მყიდველის საგარანტიო უფლებებში და არ დაივიწყონ თავიანთი მოვალეობაც!

# ღმერთმან შეგინდოთ ცოდვანი!..

პროსპექტზე მონარნარებენ
ასულნი გულგასახარნი,
თვალად და ტანად ლამაზნი,
მზით და ღიმილით გამთბარნი!..

თუ გული გაგინათდება,
გაგხანჭლავა გრძნობაც აშარი:
ეს მონაზონთა ჯარია,
თუ ჯვაროსანთა ლაშქარი?!

ყირმიზა ყელზე ქანაობს
მთვარისფერი და მზისფერი,
ჯვარი ვერცხლის თუ ოქროსი,
ებანოზის თუ თითბერის!..

ვინ ხელქმნა, ვინ იჯახირა,
ეს სენია თუ სახადი?!
ქალს ხედავ, არც მორწმუნეა,
არც ღმერთი იცის, არც ხატი!..

მოდაა?! ეს რა მოდაა?!
ვისგან ნაკურთხი, ქებული?!
ზოგს ერთი ჯვარი ჰკიდია,
ზოგიერთს — ჯვართა კრებული!

ზოგი კილოგრამს იწონის,
ზოგი — გრამს, რაღაც მიზეზით!..
ყელსამკაულად უტვირთავთ
ჯვარცმა ტანჯული ქრისტესი!..

ვინ არის მათი გამჭედი,
მათი მომგონი ვინ არი?!
ჯვარი კი არა, ჯართია —
ნალბანდის ნაცოდვილარი!..

ასულნო ქალაქისანო,
სჯობს უჯვარხატოდ მზისობდეთ!
...ღმერთმან შეგინდოთ ცოდვანი,
თუ არ უწყით, რასა იქმოდეთ!

ომარ გოჩელაშვილი

## გრაფომანს

პოეტობას იჩემებ და
პოეტისას სახელს ირქმევ,
დაფნის გვირგვინს თხოულობ და
ყალბ დიდებას თავზე იფრქვევ!..

საკუთარ ლექსს იმდენს იქებ,
მერე თავსაც იმდენს იქნევ,
იქნებ, მოგწყდეს კომში მწიფე,
დაგეკარგოს სულაც იქნებ!

ყურადღებას რომ ვერ იქცევ,
წყენას მაინც აღარ იმჩნევ!
ხმალი არ გაქვს, მის მაგივრად,
გესლით სავსე სიტყვებს იქნევ!

სხვის ნააზრევს აკოწიწებ,
ქმნი უნიჭო ლექსთა ციკლებს,
რედაქციებს ჯერ უცინი,
მერე იერიშით იკლებ!..

ჯულიეტა მილდიანი

ნახ. მ. აბაშიძისა




— ამისი შვილი აბარებს გამოცდას!
— მაგისი კი ჩააბარებს!

# აპოკრიფი

ვიდრე საქმეზე გადავიდოდე, მინდა თავი წარმოგიდგინოთ: წმინდა წყლის პედაგოგი ვარ და თანაც „ტაიწი" რეპეტიტორი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ წყალივით ვიცი ჩემი საგანი და გვარადაც წყალწყალაშვილი გახლავართ, სემირამიდა წყალწყალაშვილი!

მასწავლებლობა, როგორც წყალი, ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი და, ახე გასინჯეთ, ძილშიც კი გაკვეთილებს ვატარებ, ოღონდ ზარდაურეკავად, შინაურულად. მაშ, როგორ? ასეთი უშრეტი ენერგიის პატრონი 18 საათზე დავჯდები?

ათ წელზე მეტი ხარეპეტიციო, ანუ ნუცას სკოლას ვუდექი სათავეში, თანაც იგი, ე. ი. ნუცას სკოლა, საკუთარ ბინაში მქონდა გახსნილი. ხალხმა დააფასა ჩემი ღვაწლი და ჩვეულებრივზე ცხრაჯერ მეტ ანაზღაურებას მაძლევდა, ყოველ! გაკვეთილს თანაბარი მონდომებით ვატარებდი (ცეცხლს ცერცვს ვაყრიდი). ბოლოს მითხრეს, შენი მომზადებული აბიტურიენტები გამოცდებზე ბრინჯივით იბნევიანო. როგორ-მეთქი?! — გავიკვირვე, მე ცერცვს ვაყრი და ეს ბრინჯი საიდანღა ჩნდება-მეთქი?! — გავიკვირვე კი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ნუცას სკოლას გაკოტრების ნიშნები დაეტყო. სანამ სახელს მთლად დავახურდავებდი, ავდექი, და დარჩენილი ფულითა და ნახარჯი ავტორიტეტით სკოლას პროფილი შევუცვალე, სასწავლებლად ვაქციე, ოღონდ თავისი შინაარსით იგი უფრო გამქირავებელ პუნქტს დაემსგავსა.

როგორ გგონიათ, სასკოლო ინვენტარს ვაქირავებდი? როგორ გეკადრებათ!

საქმე იმაში გახლავთ, რომ აპოკრიფების წერა დავიწყე. ეს სიტყვა ძველბერძნულია და ფარულს ნიშნავს. აპოკრიფებად იწოდება შრომები, რომელთაც ამა თუ იმ საბაბით უარყოფდა ოფიციალური ეკლესია და ისინი მალულად ვრცელდებოდა ხალხში. ჩემი მრავალტომიანი ნაშრომი თავისი ბედით ამ ნიჭიერად დაწერილ წიგნებს ჰგავდა. იგი, ჩვენი ოფიციალური პედაგოგიკის მიერ უარყოფილსა და დამცირებულს, ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრების ფენომენს — „შპარგალკას" ექომაგებოდა და მისი შემდგომი განვითარების გზებს სახავდა. სწორედ ამიტომ, ჩემი ხელნაწერი კრებულის პირველსავე ტომს, „აპოკრიფი" ვუწოდე. ამ სიტყვაში მე სხვა შინაარსიც ჩავტიე. აპოკრიფი — ამოკრიფე... და მერე ფული კრიფე.

დიახ, „აპოკრიფში" შემავალი წერილები, ანუ საწერი თემები სხვადასხვა წიგნებიდან და რვეულებიდან ამოვკრიფე. ასე შეიქმნა ყოველი ტომი და მალე ისინი ხელიხელსაგოგმანებელ სახელმძღვანელოებად იქცნენ.

ყოველ ტომს აქვს თავისი სარჩევი და თან ერთვის პრეისკურანტი. ფასები ხელმისაწვდომია. ზოგი თემის გადაწერა 5 მანეთი ღირს, ზოგისა — 3, ზოგისა — 2. თუ შპარგალკადაა გამზადებული, შეგიძლიათ, 10 მანეთად წაიღოთ. მუშტარი ბუზივით მახვევია, ზოგჯერ თემა რომ აღარ ჰყოფნით. თმაში ჰწვდებიან, რასაც გარეშენი სულ სხვანაირად ხსნიან, მე კი ვიცი, რომ ჩემი თმა წმინდა რელიკვიაა მათთვის და იმად მაგლეჯენ.

სასწავლო წლის დასაწყისში ჩემი დაწესებულებაც მზად იყო. ახალი პროფილით გახსნილ ნუცას სკოლაში (უფრო სწორედ გამქირავებელ პუნქტში) თქვენ შეგიძლიათ იქირაოთ, ან შეიძინოთ ხელსაყრელ ფასებში საწერი თემები. ასორტიმენტი ფართოა. ინებეთ სხვადასხვა მწერალთა შემოქმედება, პატრიოტული და სხვა მოტივები, ინტიმური თუ მოქალაქეობრივი ლირიკა — ყველაფერი უშეცდომოდ გადაჭიკჭიკ-გადამღერებულია. არის თავისუფალი თემებიც.

უბედური შემთხვევების, ანუ თემების დამთხვევების თავიდან ასაცილებლად, რაც ხშირად ემართებათ დამთხვეულ აბიტურიენტებს და უსაშველოდ ბითურდებიან, მიღებულია სათანადო ზომები: სქოლიოში მითითებულია ამა თუ იმ თემის სადაურობა. ვთქვათ, სქოლიოში წერია „მუქ." არამც და არამც მუქთა არ გეგონოთ! ეს შემოკლება იმაზე მიგვითითებს, რომ თემა სოფელ მუქედიდანაა მიღებული და უშიშრად სახმარია აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, ხოლო თუ წერია „ბოდ" (ბოდვა არ გეგონოთ!) თემა ბოდბისხევურია და ზღვისპირა რაიონებისთვისაა განკუთვნილი.

თუ „აპოკრიფში" მითითებულ წესებს ზუსტად დავიცავთ, „შპარგალკის" ხმარების საგარანტიო ვადა ზღაპრულად მატულობს.

იჩქარეთ, მეგობრებო, ვიზიტს ნუ გადადებთ! „შპარგალკა" ტელეტაიპის ლენტივით უწყვეტად მოედინება და სულ ახალ-ახალი აზრები მოაქვს თქვენთვის!

პედაგოგ-ორატორ-რეპეტიტორ სემირამიდა წყალწყალაშვილის მონოლოგი ჩაიწერა

ელგუჯა მერაბიშვილმა

მ. ტოდოროვიჩი

## საიდუმლო მდგმური

ცნობილმა რეჟისორმა ბრანკელებად ცნობილი თეატრისა, ტუგომირ გრაჩიჩმა, რომელიც მანქანისათვის ფულს აგროვებდა, გადაწყვიტა ოთახი გაექირავებინა და გაზეთში განცხადება მოათავსა.

რამდენიმე დღის შემდეგ რეჟისორის ბინაში დარეკეს.

— განცხადების გამო გაწუხებთ! ოთახს აქირავებთ?

— მობრძანდით, გეთაყვა!

— ჩინებულია! ქირა რამდენი უნდა გადავიხადო?

— ოთხასი დინარი! ამაში შედის აბაზანით სარგებლობა, სინათლე და კანალიზაცია!

— აბაზანა, სინათლე და კანალიზაცია მე არ მაინტერესებს. თვეში ხუთას დინარს გადაგიხდით, მხოლოდ ერთი პირობით: არც ერთი თქვენგანი, ჩემი არყოფნის დროს, იმ ოთახში არ უნდა შევიდეს!

თვენახევრის შემდეგ რეჟისორს მეუღლემ უთხრა:

— იცი, ტუგომირ, ცოტა არ იყოს, მდგმური საეჭვოდ მეჩვენება!.. ხუთასი დინარი ჩამითვალა, იღლიაში რაღაც ქაღალდებამოჩრილი შევიდა ოთახში, უმალვე გამოტრიალდა, დაკეტა და მერე აღარ გამოჩენილა. ორი კვირის წინ ისევ მოვიდა, ფული გადაიხადა და, ისე, რომ ოთახში არც კი შეუხედავს, კვლავ გაქრა!..

— ცხადია, უცნაური ამბავია.

გავიდა კიდევ თვე. რეჟისორმა და მისმა ცოლმა გადაწყვიტეს, შეეჭყიტათ მაინც საიდუმლო მდგმურის ოთახის ჭუჭრუტანაში.

— ეს დაწყევლილი ჭუჭრუტანა ისე ვიწროა, ტუგომირ... მოიცა, შუა ოთახში იატაკზე მუყაოს ყუთში რაღაც ქაღალდებია.

— მეტი არაფერი?!.. მეზობელთან მიდი, ზეინკალი რომ არის და სთხოვე, კარის გასაღებად რამე იარაღი გვათხოვოს!..

— მაგრამ, ჩვენ ხომ შევპირდით, ოთახში არ შევალთო?!.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! სულაც არ მინდა რაღაც ხათაბალაში გავება!..

ნახევარ საათში კლიტე გამოუცდელი ბინის გამტეხლების გაერთიანებულ ძალას დანებდა. ცოლმა მეზობელს იარაღი წაუღო და როდესაც დაბრუნდა, რეჟისორის ხმამაღალი ხარხარი შემოესმა. იგი რაღაც ხელნაწერს კითხულობდა.

— რა მოხდა?!

— შენ ვერ წარმოიდგენ, რა შესანიშნავი კომედია იდო ამ საქაღალდეში!.. მოიცა, მოიცა, ეს რაღა კონვერტი გამოვარდა ხელნაწერიდან?

„დიდად პატივცემულო რეჟისორო! მე ვიცოდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავს ვერ შეიკავებდით, ჩემს ოთახში არ შეგეხედათ. დარწმუნებული ვარ, ჩემი კომედია მოგეწონებათ. მაგრამ მე სხვა საშუალება არ გამაჩნდა, ამეძულებინეთ, ეგ ნაწარმოები წაგეკითხათ. თანახმა ვარ, დაიდგას ჩემი კომედია თქვენს თეატრში, მხოლოდ ერთი პირობით, თუ გამიზრდით ჰონორარს ათასი დინარით. ეს ის თანხაა, რომელიც ოთახისათვის გადაგიხადე.

პატივისცემით — თქვენი ნედელკო დრაგოვიჩი"

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ნახ. მ. მჭედლიშვილისა



უსიტყვოდ

## ფრაზები

● **ვინც** უკვე მოტყუებული გყავთ, მას ნუ დაუჯერებთ!

● **სჯობს** გაიხსენო შენი მოვალეობა მანამ, სანამ შენი უფროსი გაიხსენებს თავის უფლებას!

● **ასჯერ** გაზომე და ერთხელ ჩაწერე საჩივრის წიგნში!

● **ბედის** დარტყმას სხვისი თავი შეუშვირეთ!

● **თუ** თქვენი ნებაა ნახევრის არჩევა, აირჩიეთ უდიდესი!

● **არ** დაიძინოთ ჟანგბადის ბალიშზე!

● **რაც** არ უნდა გინდოდეთ, ნუ შეძვრებით სხვის სულში!

● **რა** აზრი აქვს ძალიან მაღლა ფრენას, თუ ვერ შეგნიშნეს?!

● **სამუშაოზე** იარეთ ფეხით! გახსოვდეთ, რომ ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება სასარგებლოა ორგანიზმისათვის!

ავთანდილ ქიმერიძე

ნახ. ი. ქეინაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. ზ. ფირცხალავასი



— ნუ გეშინია, ტექსტი თუ დაგავიწყდა, მაყურებლებს იმდენჯერ აქვთ ნანახი, რომ თვითონ გიკარნახებენ!

## ღ რ ე

თბილისში, ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს პროსპექტზე, ვცხოვრობ!

დილით ვის არ ეჩქარება?!

ას ოცდახუთმა თავისუფალმა ავტომანქანამ უპასუხოდ რომ ჩამიარა, ას ოცდამეექვსემ (ყელს გამოვიჭრი, თუ არ გააჩერებ-მეთქი, რომ ვანიშნე) სვლა შეანელა. ავშენდი კაცი! ავედევნე!

— აქ გაჩერება არ შეიძლება, თუ შეძლებ, კარი გაალე და „ნა ხადუ“ დაჯექი! — ყვირილით გამომძახა შოფერმა.

გავწირე თავი, როგორც იქნა, ჩლახუნ-ჩლახუნით შევჩოჩდი ნელა მიმავალ მანქანაში და კარი მოვიჯახუნე. მაგრამ სხვა უბედურება მეწვია. გამახსენდა, ამ დილით, შარვალს რომ ვაუთოვებდი, უთო არ გამომირთავს, უთო საუთოებელ ტილოზე დავტოვე. კი, იყო, ნამდვილად!

— ერთ წუთას შემიჩერე, თუ ძმა ხარ!

— აქ გაჩერება არ შეიძლება! — შემომცინა მძღოლმა.

გამოვცდით ჭავჭავაძის პროსპექტს, მელიქიშვილზე ვართ.

— ერთ წამს შევირბენ სახლში, უთო დავტოვე.

— უსაუზმოდ?

— რა მეხუმრება, ჩართული უთო დავტოვე ტილოზე!

— მხატვარი ხარ?

— გააჩერე! ღმერთი არ გწამს?!

— მე კი, მაგრამ აგერ, ის ავტოინსპექტორი, იწამებს შენს იპოქონდრიებს? აქ გაჩერება არ შეიძლება და ჩემი ცოლ-შვილის ცოდოს ნუ დაიდებ!

რუსთაველის პროსპექტზე ვართ.

— შემიჩერე რამეფრად!

— არც აქ შეიძლება გაჩერება!

ლენინის მოედანს შემოვუარეთ და, უკან წამოსვლისას, ჩემს სახლს რომ მივუახლოვდით, მთელი ქუჩა სახანძრო მანქანებით იყო სავსე. არ გამკვირვებია. სახლი მეწვოდა, მაგრამ ვინ გაყურებინა?! იქ გაჩერება არ შეიძლებოდა, ვაკის პარკთან უნდა დაგვერტყა წრე!..

არა ჩემია

## მეგობრის გახსენება

ქართული კარიკატურის ტრადიციები ჩვენი საუკუნის დამდეგს იღებს სათავეს. როცა მის ფუძემდებლებზე ჩამოვარდება სიტყვა, უთუოდ თვალწინ დაგვიდგება თვითმყოფადი ნიჭის ხელოვანი — დავით ვლადიმერის ძე ნაცვლიშვილი (დონი), რომელმაც მადლცხებული თავისი ფუნჯი ადამიანზე ფიქრს, მანკიერებისაგან მის განწმენდას და საბჭოთა ჰუმანიზმის თვალთახედვამდე ამაღლებას მოახმარა.

ნიჭიერი მხატვარი, უწინარეს ყოვლისა, იმით არის დასაფასებელი, რომ მან შესანიშნავად აუღო ალღო დროის მოთხოვნას.

„კაცობრიობა ღიმილით ეთხოვება თავის ნაკლოვანებებს“ — მარქსის ეს გამონათქვამი თამამად შეიძლება მიესადაგოს დონის, როგორც მხატვარ-კარიკატურისტის შემოქმედებას. მისი მახვილი თვალით დანახული და იშვიათი ოსტატობით ნაძერწი ყოფითი თუ პოლიტიკური ხასიათის კარიკატურები ზოგჯერ მსუბუქი იუმორითაა განზავებული და ჩვენში ღიმილს იწვევს, ზოგჯერ კი მძაფრი სატირის დონემდე ასული მხილება გულისტკივილს გვაგრძნობინებს ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამო, რადგან, სამწუხაროდ, კვლავაც გვხვდება ზნეობრივი სიმახინჯე, ჩვენი ჯანსაღი სულიერი სამყაროს ცალკეული ავადმყოფური ანომალიები.

დავით ნაცვლიშვილის ფუნჯი არა მარტო უკიჟინებს და კიცხავს ზნეობრივად დაცემულ ადამიანს, არამედ წამოდგომაშიც ეხმარება. ამაში გამოსჭვივის მისი სატირისა და იუმორის აღმზრდელობითი ხასიათი.

როცა ვფურცლავთ მის წიგნებს — „ხუმრობის გარეშე“ (1951 წ.) და „ფანქრის წვერზე“ (1957 წ.) არ შეიძლება, ხუმრობის გარეშე არ აღინიშნოს, რომ ქართული სატირისა და იუმორის არსენალში დავით ნაცვლიშვილის ყალმით შექმნილი ყოფითი და პოლიტიკური ხასიათის კარიკატურები სწორედ ის იარაღია, აუცდენლად რომ ურტყამს მიზანში — ამხელს ორპირობას, პოლიტიკურ უმწიფარობას, სიბეცეს, დოყლაპიობას, მექრთამეობას, მომხვეჭელობას, სპეკულაციას, კომბინატორობას, ხულიგნობას, მუქთახორობას და სხვა მავნე გადმონაშთებს.

საკმარისია გადავხედოთ მხატვრის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას, რომ ნათლად წარმოგვიდგეს თვითმყოფადი ხელოვანი, პარტიისა და ხალხის სამსახურში შრომითა და რუდუნებით მოღლილი ღვაწლმოსილი კაცი.

ნურავის ეგონება, რომ დუმან გაზეთების — „კომუნისტის“, „მუშის“, ჟურნალების — „ნიანგის“, „შოლტის“, „ტარტაროზის“, „დროშის“ ძველი შეკვრები. თავის დროზე მათ ფურცლებზე მოთავსებული დონის კარიკატურები დიდი ხანია განივრცო ხალხის შეგნებაში — მათ აღზარდეს თაობები, აამაღლეს ჩვენს დღევანდელობამდე.

დავით ნაცვლიშვილის მხატვრული აზროვნების ნიმუშები იმთავითვე გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს, გავიდა საკავშირო სარბიელზე და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

დღეს ღვაწლმოსილი ქართველი მხატვარი 80 წლისა უნდა ყოფილიყო და, რაკი იგი ცოცხალთა შორის აღარ არის, უნდა ჯეროვანი მიეზღოს ნათელ ხსოვნას კაცისა, ვისი მკაფიო პალიტრა დიდი ხანია ხალხის კუთვნილებად იქცა.

მიხეილ კუხალაშვილი

## 1979 — ბავშვის საერთაშორისო წელი

# ბ ი ჭ ე ბ ი

### გავროში, პაატა, ოლეგი და სხვები

კაცობრიობა რომ არ დაბერდეს
სიბრძნით, ძიებით ან დადინჯებით, —
ჩვენს სასახელოდ, მამებთან ერთად,
იბადებიან ზოგჯერ ბიჭებიც.
ბიჭები! ღმერთო, სულ მთლად ბავშვები! —
როგორც ლეგენდებს გადმოუციათ!
— ბავშვებო, ცეცხლს ნუ ეთამაშებით,
ნურც ისტორიას!..
რევოლუციას!...
წადით, ბიჭებო, სახლებში წადით,
წიგნი იკითხეთ ან ითამაშეთ!..
მაგრამ ბიჭები დროის წადილით
ისტორიისთვის წერენ განაჩენს.
მე მაინც მგოსნურ სიბრალულს ვიჩენ
და ჯადოსნური ხილვის წუთებით
ამ ლეგენდარულ, თავნება ბიჭებს
გზაზე ჯიუტად გადავუდგები.

აჯაგრულია პარიზი... სენა...
კვამლი და ცეცხლი ფერავს ტერასებს.
ვიღაც სკუპ-სკუპით და სტვენა-სტვენით
გადარბის მოკლულ გრენადერებზე.
აჰა, ასკდება ჭურვი ბარიკადს,
ბიჭი ჩქარობს და აღარ შეიცდის:
— მე გავროში ვარ!
— ხელი ამიკრა —
მე უნდა მოვკვდე საფრანგეთისთვის!
. . . . . . . . . . . . .
აგე, ნორჩ მხედარს, მგზავრობით დაღლილს,
სპარსეთს რომ ელის გზა დამღუპველი,
მამის და დედის ფიქრივით თალხი
ასდევნებია ნოსტეს ღრუბელი.
ბიჭს ცალი ხელით ვწვდები ქამარში,
ცალი ხელითაც მხარზე შემოვწვდი;
— მე პაატა ვარ... ვერ გადამარჩენ,
მე უნდა მოვკვდე საქართველოსთვის!.
. . . . . . . . . . . . .
ორმოცდასამის ზამთარი... ყინვა...
სძინავთ გერმანულ სადარაჯოებს...
არ სძინავს ერთ ბიჭს... არც რუსეთს სძინავს
და ბიჭს იმედის თვალს არ აშორებს.
— ჰეი, შესდექ! იქ, გაღმა, ხიდთან
ღალატს და სიკვდილს მალავს ნაპირი...
— მე ოლეგი ვარ!.. — ღიმილით მითხრა
და ამ ღიმილით თქვა ყველაფერი.
. . . . . . . . . . . . .
ვიღაცა ხოხვით თხრილს გადავიდა,
გაუწვა ბლინდაჟს, ვით გემის კიჩოს...
თიანეთს ძეგლად გნახავთ, კაპიტან,
ჩვენო ამაყო, ჭაღარა ბიჭო!

არა, ისინი არა კვდებიან!..
არა კვდებიან...
მათ მხოლოდ ჰკლავენ!
და ქვეყნად რაც კი იმედებია, —
აუზიდია მათ ბავშვურ მკლავებს.
ათასი დაფნა,
წიგნი,
მოლბერტი, —
ვინც სინდისს თავი არ აარიდა!
. . . . . . . . . . . . .
— კაცობრიობა რომ არ დაბერდეს,
ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!!

**შოთა ნიშნიანიძე**




მოჯადოებული ოთხკუთხედი

## განცხადებების დაფა

### წარწერა მემორიალური დაფისათვის

აქ მ რ ა ვ ა ლ ი წლის განმავლობაში დადიოდა გამოჩენილი გამომგონებელი (ესა და ეს) თავისი განცხადების პასუხისათვის.

### ფრაგმენტი განცხადებიდან

...გთხოვთ დ ა მ ი დ გ ა თ ტელეფონი ბინაში კუთვნილი რიგის მიხედვით, როგორც გამონაკლისი.

აპოლონ ბასილაია

* * *

რეპეტიტორი, რ ო მ ლ ი ს მოწაფე ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე, ვალდებულია, გაიაროს საკვალიფიკაციო ატესტაცია.

* * *

ფალსიფიცირებული ღ ვ ი ნ ი თ გაჟღენთილ მძღოლს თუ დააკავებს ავტოინსპექტორი, ვალდებულია, იგი მიიყვანოს უახლოეს საავადმყოფოში, მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით.

მ. პ.

ნახ. ა. კანდელაკისა




— შენი ბილეთი, ახალგაზრდავ!
— მე, უფროსო, გამოცდაზე ჩაჭრის შემდეგ, ბილეთებს ხელს აღარ ვკიდებ!

№ 559
4.IX 79

ნახ. გ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა




გამოსავალი გზა ჯუნგლებიდან

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიჟნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 6/VII 79-წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VIII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1922 უე 00783 ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ედიშერაშვილი, ჭ. ლენაძე, ე. მერაბიშვილი, მ. მჭედლიშვილი, ა. ქიტიაშვილი, მ. ცერტაძე.